წმინდა სინოდის 2022 წლის 14 სექტემბრის ჟურნალი

*2022 წლის 14 სექტემბერს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრებმა მიიღეს ქვემოთ გამოქვეყნებული **ჟურნალი**, რომელიც დისტანციიური კავშირის საშუალებით განიხილეს.*

ჟურნალი № 92

იმსჯელეს რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო კრებისგან შემოსული შუამდგომლობის შესახებ მანჰეტენის ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსის, ნიკოლოზის აღმოსავლეთ-ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტად **შესახებ** დამტკიცების შესახებ.

ცნობა:

*2007 წლის 17 მაისს შედგენილი **კანონიკური ერთობის შესახებ აქტის** თანახმად, რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პირველიერარქს გამოირჩევს მისი სამღვდელთმთავრო კრება. შესაბამისად კანონიკური სამართლისა, გამორჩევას ამტკიცებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი.*

*რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებამ, იმოქმედა რა თანახმად რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ დებულებისა, 2022 წლის 13 სექტემბერს მანჰეტენის ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ნიკოლოზი რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქად **გამოირჩია.***

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს სახელზე შემოვიდა აქტი რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის გამორჩევის თაობაზე და შუამდგომლობა რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრების ამ გადაწყვეტილების დამტკიცებაზე რუსეთის უწმინდესი პატრიარქისა და წმინდა სინოდის მიერ..

დაადგინეს:

რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილება მანჰეტენის ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსის, ნიკოლოზის პირველიერარქად – აღმოსავლეთ-ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტად გამორჩევის შესახებ, დამტკიცდეს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89638/